მოსკოვი.

7 მაისს თბილისის დინამოელებმა აქ ჩაატარეს თავიანთი მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის “ტორპედოსთან”.

პირველი ტაიმი ძირითადად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მოსკოველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს დინამოელთა კართან, სადაც ძნელი ბურთები აიღო მეკარე კოტრიკაძემ, მაგრამ მან შეცდომა დაუშვა ტაიმის დასასრულს და გაუშვა ბურთი ბატანოვისაგან. ორიოდე წუთის შემდეგ ივანოვმა ანგარიში ორამდე გაზარდა _ 2:0.

მეორე ტაიმში თბილისელთა კაპიტანმა ღოღობერიძემ გაქვითა ერთი გოლი, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ტორპედოელები კვლავ წინ გავიდნენ _ 3:1 (ბურთი გაიტანა ივანოვმა). დარჩენილ დროში დინამოელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და ღოღობერიძემ გამოიყენა კიდეც იგი _ გაიტანა მეორე გოლი. მატჩის დასასრულს არ იქნა გამოყენებული “ტორპედოს” კართან შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტი. შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა _ 3:2.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი მოიგეს თბილისელებმა _ 1:0.

“ლელო”, 8 მაისი, 1960 წ.